Georgian DMC LLC

41, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

ძირითადი საქმიანობა

შპს "ჯორჯიან დიემსი (შემდგომში "ორგანიზაცია") დაფუძნდა 2009 წლის 06 იანვარს, მარეგისტრირებელი ორგანო არის თბილისის რეგიონალური ცენტრი(საგადასახადო ინსპექცია), მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.#4ა, მე-3 სართული. კომპანიის დამპუძნებელი და 100% წილის მფლობელია ალექსანდრე მამულაშვილი (პ/ნ 01024010474)

კომპანიის ძირითად საქმიანობაა უცხოელი ტურისტების ჩამოყვანა საქართველოში და მათთვის ტურისტული მომსახურების გაწევა. ტურისტული პაკეტი გულისხმობს სასტუმროს, რესტორნის, მუზეუმის დაჯავშვნას, კულტურული ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულებას და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. ასევე ტრანსპორტით და გიდით მომსახურებას. კომპანია ტურებს ახორციელებს მთელი საქართველოს მაშტაბით და მომხმარებლებს სთავაზობს ისტორიულ ტურებს, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მაშტაბით სხვადასხვა ისტორიული ძეგლების მონახულებას.მთის ტურებს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ლოკაციებზე კარვებით მომსახურებას, თემატურ ტურებს, როგორიცაა ღვინის ტურები კახეთში,დედაქალაქის ტურებს.ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ თავად განსაზღვრონ სასურველი მარშუტი ან გამოიყენონ ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული სტანდარტული ტურები. ზოგ შემთხვევაში დამკვეთთა მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება ამიერკავკასიის ტურები, რა დროსაც ტურისტებს საშუალება აქვთ ერთი ტურის ფარგლებში მოინახულონ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ღირსშესანიშნაობები.

დანართი N1 და დანართი N2-ში მოცემულია 2018 წლის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის არა აუდიტირებული ანგარშგება.

გამოყენებული სააღრიცხო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	1/1/2018	12/31/2018
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1417,15	73 512,87
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1 105 673,61	2 144218.74
ნაღდი ფული სალაროში	112,11	675,29
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	**112,11**	**675,29**
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	**1 107 202,87**	**2218406.9**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს ტურისტული მომსახურების სახით.მომსახურება აღიარა შემოსავლად და არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება.ძირითად შემთხვევაში ორგანიზაცია ემსახურება უცხოელ დამკვეთებს წინასწარ გადახდლი თანხის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომაპანიის ბალანსზე, არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

	1/1/2018	12/31/2018
სავაჭრო მოთხოვნები	2842,64	81980. 30
სულ მიმდინარე მოთხოვნები	**2842,64**	**81980.30**

Georgian DMC LLC

41, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი მოიცავს საწვავს და ბოთლით წყალს, რომლის ხარჯვა ხორციელდება გაწეული ტურისტული მომსახურების უზურუნველსაყოფად და ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია მიწოდების ხარჯად.

	1/1/2018	12/31/2018
საწვავი	14946,01	17223,77
წყალი	12,68	41,71
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**14958,69**	**17265,48**

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- კომპიუტერული ტექნიკა 10-20
- ინვენტარი 5-10

	კომპიუტერულიტექნიკა	**ინვენტარი**
საწყისიღირებულება		
ბალანსი 01/01/2018	1313,56	391,53
აკუმულირებული ცვეთა	(472,88)	(95,99)
ბალანსი 01/01/2018	1050,85	338,65
დანამატები		216,95
ბალანსი 31/12/2018	840,68	512,49
ბალანსი01/01/2018	**1050,85**	**338,65**
ბალანსი 31/12/2018	**840,68**	**512,49**

ბალანსი 31/12/2018	**1353,17**

Georgian DMC LLC

41, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არა მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახადები.

სავაჭრო ვალდებულებები	**1/1/2018**	**12/31/2018**
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5039,18	6229.71
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	26637,95	34965.49
გადასახდელი ხელფასები	240	1013,50
სულმიმდინარეევალდებულებები	**31917,13**	**42208.7**

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდი მიკუთვნებულია იმ საანგარიშო პერიოდს რომელ პერიოდშიც მოხდა მისი განაწილება.

Georgian DMC LLC

41, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე, დღგ-ის ანგარიშ ფაქტურის მიღებისთანავე. ორგანიზაციის მომსახურების არსებითი ნაწილი განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, ვინაიდან დაკავშირებულია ტურისტულ მომსახურებასთან. საანგარიშო პერიოდში ჩათვლილი დამატებითი ღირებულების გადასახადი დაბრუნებულია საგადასახდო ორგანოსგან მიმდინარე პერიოდში. აქედან გამომომდინარე, ფიქსირდება საგადახადო აქტივი.

	12/31/2017	12/31/2018
გადასახადების ერთიანი კოდი	116334,24	27602,85
სულ გადახდილი გადასახადები	116334,24	27602,85

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

კომპანია ტურისტული პაკეტის მიღებული შეკვეთისათვის განსაზღვრავს ფასს და შესაბამისინვოისს უგზავნის მომხმარებელს, ძირითადად ტურისტული პაკეტის უშუალოდ განხორციელებამდე ხდება მომხმარებლის მიერ თანხის გადახდა, რომელიც მიღებულ ავანსებში აღირიცხება. არის შემთხვევები როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია გასწევს ტურისტული პაკეტის მიწოდებას, რომელიც ინვოისის საფუძველზე დებიტორულ დავალიანებად აღირიცხება.შემოსავლის აღიარება ხდება ტურისტული პაკეტის დასრულების შემდეგ ტურისტული პაკეტის დასრულების თარიღით

	12/31/2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	4095269,39
სულ შემოსავალი	4095269,39

ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს მიწოდების, ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაცილ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

Georgian DMC LLC

41, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

მიწოდების ხარჯები	31.12.2018
რეკლამისხარჯი	8864,55
საწვავისხარჯი	96452,31
სასტუმროს მომსახურების	1503703,71
ტურისტების მომსახურების ხარჯი	197253,23
მუზეუმის და ნაკრძალების ხარჯი	26881,59
ქვეკონტრაქტორი ტურკომპანიების ხარჯი	539572,36
ტრანსპორტირების ხარჯი	148414,04
მიწოდების სხვა ხარჯი	74057,23
სულ	**2595199,02**

ადმინისტრაციული ხარჯები	
ხელფასის ხარჯი	213601,05
ოჯარის ხარჯი	145316,44
დაზღვევის ხარჯი	9868,18
მივლინების ხარჯი	39687,55
კომუნიკაციის ხარჯი	133,32
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	1695,64
სულ	**410302.18**

Georgian DMC LLC

41, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

დანართი N1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	01.01.2018	31.12.2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივი		
ძირითადი საშუალებები	1,389	1,354
სულგრძელვადიანი აქტივები	**1389**	**1354**
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14,959	17,265
სხვა მიმდინარე მოთხოვნები		5,075
სავაჭრო მოთხოვნები	2,843	81980
ფული და ფული სექვივალენტები	1,107,203	2,218407
საგადასახადო აქტივი	116,334	27,603
სულმიმდინარეაქტივები	**1241339**	**2350330**
სულაქტივები	**1242728**	**2351684**
კაპიტალი	80	80
გაუნაწილებელიმოგება	1210705	2309395
სულკაპიტალი	**1210785**	**2309475**
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	5,065	6,230
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	26,638	34965
გადასახდელი ხელფასები	240	1014
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**31,943**	**42209**
სულ ვალდებულებები	**31,943**	**42209**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**1242728**	**2351684**

Georgian DMC LLC

41, Ingorokva Str., Tbilisi, 0194, Georgia

დ ა ნ ა რ თ ი N 2

ს რ უ ლ ი შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ა ნ გ ა რ შ გ ე ბ ა

	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	4,095,269
მთლიანი მოგება	**4,095,269**
მიწოდების ხარჯი	(2595199,02)
ხელფასის ხარჯი	(213601,05)
ცვეთის ხარჯი	(253,28)
იჯარის ხარჯი	(145316,44)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(51384,69)
საოპერაციომოგება	3005754.48
არა საოპერაციო შემოსავალი	473,33
საპროცენტო შემოსავალი	42610,0
მოგება-ზარალისაკურსო სხვაობიდან	80771.22
არასაოპერაციო ხარჯი	(610.09)
სულ არა საოპერაციო მოგება/ზარალი	123244.46
მოგება დაბერგვრამდე	1211322
მოგების გადასახადი	1438,22
დივიდენდი	112631,58
წმინდა მოგება	1211322
სულ სრული შემოსავალი	1211322

დირექტორი

ალ. მამულაშვილი

26.09.2019